სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

10 ოქტომბერი 2025 ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 156

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2025 წლის პრემიის - მეცნიერებაში განსაკუთრებული მიღწევებისათვის კონკურსში გამარჯვებული კანდიდატების დამტკიცების შესახებ

„სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემიის - მეცნიერებაში განსაკუთრებული მიღწევებისათვის დაწესების და კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2025 წლის 11 აგვისტოს N117 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის წესის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის 2025 წლის 10 ოქტომბრის სამსახურებრივი ბარათის (N1326000) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემიის - მეცნიერებაში განსაკუთრებული მიღწევებისათვის კონკურსში გამარჯვებული კანდიდატები შიფრით:

ა) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - RA-25-007;

ბ) ინჟინერია და ტექნოლოგიები - RA-25-072;

გ) სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები - RA-25-110;

დ) აგრარული მეცნიერებები - RA-25-052;

ე) სოციალური მეცნიერებები - RA-25-195;

ვ) ჰუმანიტარული მეცნიერებები - RA-25-055;

ზ) საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები - RA-25-036.

2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში ფონდი) საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული გამარჯვებული კანდიდატებისთვის დაწესებული ფულადი პრემიების გადაცემა.
3. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინმდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
4. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების გაცნობა ფონდის საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტისთვის და მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურისათვის.
5. ბრძანება ძალაშია მხარეებისთვის გაცნობისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი N64).

თეიმურაზ დოჭვირი